სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

SPATIAL AND URBAN DEVELOPMENT AGENCY

KARR0195063687523

ფაქტობრივი მისამართი: 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154
154 David Aghmashenebeli Avenue, 0112, Tbilisi, Georgia.

№ 04/356

15 / მაისი / 2023 წ.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია სსიპ- სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და შპს "სტუდია 21"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 021-2022 (კონკურსი CNT 220000030)) საფუძველზე შპს "სტუდია 21"-ი ამუშავებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმასა და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმას.
საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს 24-ე მუხლის შესაბამისად განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად გიგზავნით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმისა და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშს, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით.
მასალის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან:

https://drive.google.com/drive/folders/1808ZIlYDLjNoY9fHn18OobK6qHGtpc7s?usp=share_link

ბმულზე განთავსებული მასალა:
00. განმარტება II ეტაპი;
01. ქ.გურჯაანის ცენტრის კვლევა;
02. ქ.გურჯაანის ცენტრის ხედვა;
03. სატრანსპორტო ნაწილის კვლევა;
04. სგშ - ს სკოპინგის კვლევა;
05. ეკონომიკური ნაწილი;
ალტერნატიული განვითარების ვარიანტები.

დანართი: 5 ალბომი, 2 გვერდი და 1 ელექტრონული დისკი.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე

STUDIA 21
თბილისი 0162, თ. აბულაძის ქ. 21
ტელ: (+995 32) 2 25 81 02;
ელ-ფოსტა: mananatav@yahoo.com

08.05.2023

ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმა

მეორე ეტაპის შუალედური ანგარიში

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან დადებული N1 ხელშეკრულების საფუძველზე, „სტუდია 21“ ამუშავებს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტს“.
პროექტის პირველი ნაწილის მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2023 წლის 27 მარტს, აღნიშნულის შემდეგ დაიწყო მუშაობა პროექტის მეორე ეტაპზე რომელიც მოიცავს ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმას, პირველ ეტაპზე, სოფლების საინფორმაციო ანკეტებთან ერთად, ჩაბარდა ქალაქ გურჯაანის საინფორმაციო ანკეტაც, ამიტომ მეორე ეტაპის შუალედურ ანგარიშში ჩადებულია მხოლოდ საპროექტო ჯგუფის მიერ დადგენილი საზღვრის შიგნით მოქცეული ობიექტების აღწერა, ასევე იმ ობიექტების აღწერა რომლებიც საზღვრის გარეთ ხვდება თუმცა მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქალაქის განაშიენიანებაში.

2023 წლის 27 მარტიდან 8 მაისამდე (მეორე ეტაპის შუალედური ანგარიში) ჩატარდა სხვადასხვა კვლევები თუ სამუშაო შეხვედრები:

- 06 აპრილი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა ცენტრის საზღვრის დასადგენად.
- 24 აპრილი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მმართველობასთან.
- 27 აპრილი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებთან.
- 04 მაისი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მმართველობასთან.
- ასევე იმართებოდა მნიშვნელოვანი შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან.

შეხვედრების პარალელურ რეჟიმში დაიგზავნა წერილები საჭირო უწყებებში:

უწყება	პასუხი
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	პასუხი მიღებულია
შინაგან საქმეთა სამინისტრო	პასუხი მიღებულია
საქართველოს რკინიგზა	პასუხი არ არის მიღებული

გურჯაანის მერია ტრანსპორტი	პასუხი მიღებულია
წყალმომარაგების კომპანია თელავი	პასუხი მიღებულია
საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის	პასუხი მიღებულია

შეხვედრების და მოძიებული ინფორმაციების შედეგად მომზადდა სხვადასხვა კვლევები, რომლებიც წარმოდგენილია დანართების სახით:

- **ტოპოგრაფიული რუკა** - შპს „ჯითი სარვეი“
- **ქ. გურჯაანის ცენტრის კვლევითი ნაწილი** - სტუდია 21;
- **მოსაზრებები ქ.გურჯაანის ცენტრის სივრცითი ორგანიზაციისთვის** (ხედვა) - სტუდია 21;
- **სატრანსპორტო ნაწილის კვლევა** - ლადო ჩხაიძის;
- **ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განვითარების ხედვა, სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება** - Cushman & Wakefield;
- **სგშ-ს სკოპინგის ანგარიში** - კახა ბახტაძის;

ჩამოთვლილი კვლევების და მოპოვებული ინფორმაციის გარდა კვლავ მიმდინარეობს:

- **მონაცემების ადგილზე დაზუსტება.**
- **კონცეფციაზე მუშაობა.**
- **მატრიცის დამუშავება.**

დანართების ჩამონათვალი:

01. ქ.გურჯაანის ცენტრი კვლევა;
02. ქ.გურჯაანის ცენტრი ხედვა;
03. სატრანსპორტო ნაწილის კვლევა;
04. სგშ-ს სკოპინგის ანგარიში;
05. ეკონომიკური ნაწილი;